

ფრომაკი

ყოველ ღამე ორზაბათს გარდა

შანი განცხადებისა: დიდი ასო-

ვით ასოზე 1 კაპა, ჩვეულებრივად ცი-
მარული 5 კაპა, ვალარიანი 2 კაპა.

გედასტინას უფლება აქვს გა-
ასწოლოს და შეართლოს დასაბუქდათ
გამოგზავნილი სტატუცი. დასაბუქდ-
ელი სტატუცი ავტომატს არ დაუბრუნ-
დებო.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

გედასტინა: სლოლოკზე, ბალის
ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქ-
ციაში. ბარეში მცხოვრებთათვის: ВЪ
Тифлисъ. Въ редакцію „Дროზა“.

გაზეთის შანი: მთელის წლი-
სა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სა-
მის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

განცხადება

ოთხზაბათს, 10 ღვინობისთვეს

მართული ტრუპისაგან წარმოდგენილი
იქნება ოფილისის საზაფხულო თეატრში:

I

ბაყრა

ქომეღია ოთხს მოქმედებად თ. ბ. შრის-
თავის

II

დაკამილ კარაბთან

სცენა ერთს მოქმედებად
წარმოდგენის შემდეგ უ. მესხი წაიკით-
ხავს იმერულ სცენებს და მათუნაის ქა-
ლი იმღერებს ქართულ სიმღერებს.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში
და აზნაუროვის მაღაზიაში, ბოლოების
პროსპექტზე.

დაიწყება 7^{1/2} საათზე.

(3—1)

ოთხი თვის ხელის-მოწერა

„დროზაზე“

მიიღება რედაქციაში—ბალის (სადო-
ვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში,
№ 33

მალაქს გარეში მცხოვრებთა ამ აღ-
რესით უნდა დაიბარონ გაზეთი: ВЪ Тиф-
лисъ. Въ редакцію газ. „Дროზა“.

შანი ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი.
1 სექტემბრიდან წლის დამლევამდინ, გაგ-
ზავნიოთ—სამი მანეთი.

საქართველო

სამღვდელოების კრება

სხდომა 5 ოქტომბერს.

თავსმჯდომარისა და საქმის-მწარმოე-
ბელის ამორჩევის შემდეგ, კრება სალა-
მოს შეუდგა დეპუტატთა რწმუნებათა
წერილების განხილვას. აღმოჩნდა, რომ

ყველა 68 დეპუტატს კანონიერი რწმუ-
ნება ჰქონდათ თავიანთ საბლალჩინ-
ნობიდან.

შემდეგ თავსმჯდომარემ მ.
ლაბაშიძემ გამოაცხადა, რომ ახლა ჩვენ
უნდა შეუდგეთ იმ საგნების განხილვას,
რომლისთვისაც მოწვეულნი ვართ აქაო.
პირველი საგანი არისო საქალბო საე-
პარხიო სასწავლებლისათვის ზედამხედ-
ველი ქალის ამორჩევაო. როგორ ნებავეს
საზოგადოებას: პირ-და-პირ შეუდგეთ ამ
საქმეს, თუ ჯერ თვითონ ამ სასწავლებ-
ლის დამტკიცებული წესდება წაიკით-
ხოთო?

შეიქნა ხმაურობა; ზოგი ამბობდა,
წესდება წაიკითხავს, არ არის საჭირო
იმის წაკითხვაო; ზოგი კი იძახოდა, უნდა
წაიკითხოთო.

ამ დროს ერთი პატარა საყურადღებო
ეპიზოდი მოხდა კრებაში:

პროტოიერი პავლიევი წამოღდა
და გამოაცხადა რომ ეს „პრისუსუ-
ტენი“ ადგილი არისო და ამის გამო
აქ რუსულად უნდა იყვის ლაპარაკიო,
წესი და რიგი არისო, არ შეიძლებაო...

თელავის მღვ. მ. შიუკოვიმა შე-
ნიშნა ამაზე, რომ ეს სრულებით პრი-
სუსტენი ადგილი არ გახლავთო, აქ
საქართველოს სამღვდელოება შეკრები-
ლა, რომლის მომეტებულ ნაწილსაც
რუსული არ ესმის და მაინც-და-მაინც
უცხო ენაზე ლაპარაკი რა საჭირო არისო.

მართი ვიღაც მეგრელი მღვდელი
წამოვარდა და გაცხარებულად წამოი-
ძახა, რომ აქ ერთია თუ ორი რუსის
მღვდელი და მარტო იმისათვის რომ
ილაპარაკოთ რუსული, ჩვენ რაღა და-
ვაშავეთ? თუ არ გინდოდათ, რომ ჩვენ
გვეთქვა ან გაგვეგო რამე, რიდასთვის
მოგვიხმეთ?

კრებაში შეიქნა გაცხარებული ხმაუ-
რობა და ძახილი: „მართულად! მარ-
თულად!“

ქიდვე წამოღდა მ. პავლიევი და
გამოაცხადა, რომ ჯერ რუსულად უნ-
და ილაპარაკოთ და მერე ვისაც არ ეს-
მის, იმათთვის ქართულადც გადარგმენ-
თო.

ბოლოს თავსმჯდომარემ მო-
არიგა ყველა: იმან გამოაცხადა, რომ
ქართულადც და რუსულადც შეიძლე-
ბა ლაპარაკიო.

შემდეგ თავსმჯდომარემ დაიწყო კით-
ხვა იმ ქალების თხოვნებისა, რომელთაც
განუცხადებიათ სურვილი, რომ საქალბო
სასწავლებლის ზედამხედველობის თა-
ნამდებობა იკისრონ. სულ 8 თხოვნა

იყო წარდგენილი. იმ საღამოს კრებე
არც ერთ კანდიდიტზე არ გაჩერებულა:
ზედამხედველის ამორჩევა მეორე დღის-
თვის გადასდევს.

ღღეს დილით კრებაში მობრძანდება
თვითონ მაღალ-ყოვლად-უსაძღველო-
ესი ეგზარხოსი იოანნიკო.

სხდომა 6 ოქტომბერს.

გამოცხადებისა-მებრ დილის 9 საათზე
მობრძანდა კრებაში საქართველო. ეგ-
ზარხოსი და შუადღემდი ვლასარაკა
სამღვდელოებას იმ საგნების შესახებ,
რომელზედაც კრებას უნდა ჰქონდეს
ახლა მსჯელობა. იოანარაკა სამღვდე-
ლოების ქალებისათვის შკოლის გახ-
სნაზედ, ამის უფროს ქალისა და აგრეთვე
სემინარიის ზამგეობის სამი წევრების
არჩევაზედ და სხვ.

შემდეგ მღვდლებს მისცა სხვა-და-სხვა
დარიგება—თუ როგორ უნდა მოიქცნენ
ისინი, რომ სოფლის ხალხში კეთილ-
ზნეობა და ღვთისა და ეკლესიის
სიყვარული ჩანკრონ; სთქვა, რომ მე
ხშირად მომდის, განსაკუთრებით იმე-
რეთიდან საჩივრები და ხელ-მოუწერელი
წიგნები მღვდლებზედაო; მაგრამ მე ამ
ხელ-მოუწერელ წიგნებს არავითარ ყუ-
რადღება არ ვაქცევო; ნუ იწერებით
ამგვარ წერილებს; სხვებსაც ურჩიეთ ნუ
იწერებიან, თორემ კანონით ეს წიგნები
მე სამოქალაქო მთავრობას უნდა გა-
დავსცევო.

ბოლოს მაღალ-ყოვლად-სამღვდელო
უთხრა სამღვდელოებას, რომ ადგი-
ლობრივ გიზეთებში ბევრი რამ იწერება
სამღვდელოებაზედ და განსაკუთრებით
მთ. სასულიერო სემინარიაზე და იმის
ინსპექტორზე პუფშინსკიზედაო. ზოგი-
ერთი, რაც იწერება, მართალია, მაგრამ
ზოგი ტყუილი გამოდგაო. მაგრამ მე
თქვენ გირჩევთ, თუ ვისმეს რამე უკმა-
ყოფილება გაქვთ ან ერთმანეთზე, ან
სხვა რაზედმე, პირ-და-პირ ინივლოთ,
დაასახელეთ და ნურც თქვენ დამლაგეთ
თქვენს სახელს. ზამოძიება მოხდება და
ის დაამტკიცებს სინამდვილესო.

მართმა მღვდელმა განაცხადა სურვი-
ლი, რომ მთ. სასულიერო სემინარიაში
ქართულის ენის სწავლას უფრო მომე-
ტებული ყურადღება ექმნეს მიქცეული;
ვითხოვთო, რომ თქვენ გვიშუამდგომ-
ლოთ ამ საგანზედაო. შეველა მღვდელ-
დეპუტატები წამოდგნენ და ერთხმად
განაცხადეს თანხმობა ამ მღვდლის სიტ-
ყვებისა. მხოლოთ ერთი პროტოიერი



მ. პავლიევი წამოძვრა და სთქვა, რომ ეს ყველა დებუტების აზრი არ არისო!

მს მეორეთ არია, რომ პატივცემული მამა პავლიევი ამ გვარს თითქო სიძულვილის აცხადებს ქართულის ენისას. ზეიკვირს და გაგვევირებია!

შოვლად - სამღვდელთა გამოაცხადა, რომ ამ საგანზე სჯის ნებას კრებაზედ წესდება არ გვაძლევსო, შეკიდლანთ სხვანაირად ითხოვით და რადგან ჩემი აზრიც ეს არისო, დიდს სიამოვნებით ვიშუამდგომლებო.

მართლაც ესე გარდაწყვიტა კრებამ: შეადგინოს ქალაქი, მოაწირონ ყველამ ხელი და წარუდგინონ მალა-ყოვლად-სამღვდელს და სთხოვონ შუამდგომლობა.

მგზარხოსის წაბრძანების შემდეგ კრება შეუდგა განსახილველ საგნების შედგენას; ამ სამი სხვათა შორის ქართული ვალობის შესახებ მოლაპარაკებაც არის ჩართული.

დღიური

* * * იპერეთიდან გვერენ, რომ ყურძნის მოსავლის პირი 15 ივლისამდინ და სიმინდისა და ღომის აგვისტოს შუამდინ ძალიან კარგი იყო; მაგრამ 15 ივლისიდან უცრად აცივებულმა ჰაერმა და შემდეგ დიდმა სიციხემ სრულებით გახმო და გააფუჭა ყურძენი; აგრეთვე სიმინდი და ღომი წაახდინა საშინელმა ქარმა, რომელიც შუა აგვისტოში ამოვარდა და რამდენიმე დღის განმავლობაში არ გაწყნარებულაო. ამის გამო საზოგადოთ წელს იმის მეოთხედ მოსავალსაც აღარ მოვლიან, რის იმედიც ჰქონდათო.

* * * „თფილისის მოამბის“ № 195-ში დაბეჭდილია წერილი შოთის პოლიცი მებისტრის უფ. მათარაძისა, რომელიც ადრე შორაპნის უფლის უფროსის თანაშემწედ იყო. უფ. მათარაძე ამტკიცებს; რომ ყველაფერი, რაც უფ. მჭიმოვსკიზე დაწერილია და იწერება, მართალი არისო; მართალი არისო, რომ მან მუქთად მოატანინა გლეხებს თავისთვის შეშაო და მოატყუილა ისინიო, რომ კანონში სწერიაო, რომ გლეხები ვალდებულნი არიან უფლის უპრავლენიისათვის შეშა მუქთად ზიდონო; მუდამ სცემს გლეხებსა და მამასახლისს სუდიებსაო; ჩაფრებს თავისთვის ამუშავებსო; 13 წელიწადია, რაც ის შორაპნის უფლის უფროსი არისო და ამხნის განმავლობაში 13-ჯერაც არ ყოფილა თავის უფლში, რომ ხალხის საჭიროება და მოთხოვნილება შეიტყოსო და სცხ. და სხვ.

აბაქი წმართელს

(წერილი *)

ჩვენში, მეგობარი ჩემო აბაქი, ძვირათ არის დღეს მწერალი, რომელიც ისე საყვარელი იყვეს მკითხველნი სათვის და თვით ახალი დაწინაურებული თაობისათვის, როგორც შენა. შენ, როგორც პოეტი, არ დარჩი შეუნიშნავი არც მწერლობას, და შენს სახელს აყენებდნენ თანასწორ ჩვენი პირველი მწერლებისა.

სადამდის იყავი ღირსი ამისი, მე ამხედ დღეს არაფერს არას ვიტყვი, რადგან ერთი პირველთაგანი ვიყავი მე, რომელიც მალა აყენებდა შენს ნიჭს და გამოვლოდა შენგან დიდს საბოლოოს. პირველს შენთხვევაში მე დღესაც არა ვხედავ ჩემს თავს შემცდართ, თუმცა შენი კალამი მაშინაც არ შეჭებია რიგინათ იმ საგნებს და გარემოებათა, რომელნიც ევლებოდნენ ჩემს გულს და გონებას; და მეორე შემთხვევაში მე შემძლო ბევრი რამ მეთქვა ჩემს შეცდომილებაზედ, ესე იგი, რომ არ გამოვიდა ისა, რისიც იმედი მქონდა. მაგრამ ამასაც ვანებებ თავს, რადგან მე ვხლა უფრო სხვა მაქვს სათქმელი. მე მინდა ვსთქვა რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, რა მიმართულება მიიღო თან-და-თან თქვენმა კალამმა, და რადგანათ საქებური და სასარგებლოა ვისთვისმე აგვარი მწერლობა.

„ღვეკმირების“ ავტორმაც კი შენიშნა, სადამდის მიდის ჩვენი, ესე იგი ქართველი მწერლების ერთმანერთის მოყრყენა. მაგრამ იმისმა გამოუცდელმა კალამმა და გონებამ გაუშვა სწორეთ ის, რაც უარესს და ნანდვილს ჩვენ ნაკლებუვანებას შეარდგენდა. ჩვენი თავმოყვარება, ჩვენი ერთმანერთის სიძულვილე მიდის იქამდის, რომ ჩვენ ჩვენთ წინააღმდეგთ ლიტერატურაში არამც თუ ვსვრით და ვყრყენით ათასის ცილებითა და ცრუ მოგონებაებით, და მივდივართ იქამდის, რომ ვვინებთ კერძო ცხოვრებაში, და მზათა ვართ წაერთვით უკანასკნელი ლუკმა-პურიც, რომ ამითი ვიყაროთ იმათი ჯავრი და აქაც, როგორც ლიტერატურის მოედანზედ, არა ვზოგავთ არც ცილებს, არც ჭორებს, არც ტყუილებს და არცა რა სხვა ათას სათაქილო გცვესა.

ჩვენდა სამწუხაროთ უნდა ვაღვიაროთ, რომ ეს არამც თუ არამტკიცებს ჩვენს რიგინათ გაზრდას, ჩვენს ზრდილობას, ჩვენს ზნეობისა და გონების გაღნასა, — ამტკიცებს, პირ-იქით, ჩვენს სრულიად ველურს მდგომარეობაში

*) მზეტადეთ ხელ-უხლებელად ამ წერილს, მაგრამ ამასთანავე არ შეგიძლია არა ვსთქვათ, რომ ის სამღუარავი, რომელსაც ავტორი, უფ. ანტ. შურცელაძე აცხადებს თანამედროვე მწერლობაზე და მწერლებზე ყველაზე უფრო პირველად და მომეტებულად თვითონ იმას შეხება.

ყოფნას. და საუბედურად ჩვენს გვეყვება უფრო უჭირავთ ტყუილ-წერილებს, ვიდრე ჩვენში პირველს მწერლებს, და რომელთაგანაც ედებათ ეს სენი სხვა ამათ მოძმეებსაც.


მს იქით იყვეს; ჩვენ სრულიად აღვეყვით რიგინათ სხვა ერთმანერთის ნაღვაწედ, იმის მაგიერათ, რომ რიგინათ გავჩნრიკოთ, რიგინათ გავარკვიოთ და ავღნათ ერთმანერთის შრომა, ჩვენ გადავდივართ ერთმანერთის დაცინვაზედ, ვიწყებთ, როსკიბი დედაკაცივით, ცხვირ წინ მუჭაში ფრუტუნს და მალა საქვეყნოთ ხათხათსა და კასკისს, და ვიწყებთ ჩვენი წინააღმდეგების აზრებისა და პიროვნობის მოთხრას და დამახინჯებას; უწოდებთ ჩვენ წინააღმდეგთ „ვირებს“, „ჯორებს“ „დათვებს“ და სხვა ათას მრავალ ამგვარებას, რომლისაც ღირსნი იქნება ერთი ათათ ჩვენ უფრო ვიყენეთ იმათზედ.

აბა დავფიქრდეთ, ჩვენ ჩვენი სხარტულების ავტორებითურთ: უბრალო, საბუთ-მოუყვანელი ხითხითით და ხარხარით რა უნდა უჩვენოთ ან დამწერს, ან მკითხველს? მწერლობა არ არის მოგონილი არც სიცილის ნერვების დასაკაყოფილებლათ, არც საკუთარი ქეიფისა და ღროების გასატარებლათ, და, ვგონებ, გოტენტოტებსაც რომ ჰკითხო, ისინიც გვეტყვიან, რომ მწერლობა არის შემოღებული: ზნეობისა, გონებისა და სწავლა-მეცნიერების გასავითარებლათ კაცთა კეთილ-ღღობისა და ბედნიერებისათვის. შენ რომ ვისიმე ცხვირი არ მოგვეწონოს და ამის გამო ვირი დაუძახო: ვისთვის ან რა სასარგებლოა და ამითი ვინ რას უნდა მიხედვს ან რა უნდა ისწავლოს?..

ბადეც ესა და ამგვარი ჩვენი გცვე იყო მიზნები, რომ ჩვენ, მწერლებმა, სიყვარულის მაგიერათ შევიძინეთ მკითხველების გულგრილობა, პატივისცემის მაგიერათ დაცინვა და გაკიცხვა. მართს სიტყვით, ჩვენის გცვეით ლიტერატურაში თუ კერძო ცხოვრებაში შევიძინეთ სათაქილო და სამასხარო სახელი. როდესაც ჰკითხულობენ ჩვენს ნაწერებს, ჩვენს კვენასასა და ხენეშას ქვეყნის უკაცობასა და უსალსობაზედ, მკითხველები პირში შემოგვხათხათიან:

— თქვენ, შეილო, თუ აგრე სწუხართ ქვეყნისათვის, რატომ თითონ თქვენ არ ადგევხართ რიგინათ საქმესა და „წყალი ნაყესა“ თამაშობთო? თუ აგრე გაკვენებთ ქვეყნის უღონისძიებლობა, რათ აგებთ თქვენ მამა-პაპის თუ თქვენ შეძენილს მილიონებს ქალაქში, ქალებში, დალალობაში, სირაჯობაში და ათას აწერებში, და არა ჰხარჯავთ საქვეყნო საქმეზედ? ზოგს თქვენგანს, — რომელთაც ჩხავილი ქვეყნის მწუხარებაზედ ზეცას ღმერთსაც ეყურება, — შემოსდის თვეში ასი თუშანი და შესანახი თავის თავის მეტი არა ჰყავთ რა, რატო ერთი ას გროშაც არის არა ჰხარჯვენ საზოგადო საქმისთვის, რომ ამაში ჩვენც მკირეც არის მოგვებადნაო?..“

რედ.



აე და ამგვარათ, ჩვენ ჩვენის გცე-
ვით კარგი მაგალითების მაგიერათ ვხედ-
ვით მკითხველმისათვის კული მაგა-
ლითი. რა საქმე გინდა ჩვენი ხელიდამ
არ გამოსულა; ბეზლობა, რომელსაც
თვით ბეზლობის ხელობისანიც კი ჰთა-
კილობენ! ტალები, პოდლოგები, და-
ლატი იმ პირთა, რომელნიც მოკენდო-
ბიან; გასყაღვა ჩვენ მომნდობელთა,
შუღერობა და სხვა ათასი საზიზღარი
საქმენი.

აქ მდის ერთს მაინც რასმეს ყვეფ-
რებოდით: ახალს თაობას, იმის მიძარ-
თულებას და აზრს, რადგან ძალა ყვე-
ლასი არის ახალში; რადგან ჩვენ კიდევ
გვახლოვდა, რომ, რაც რამ კიდევ სიკე-
თე მოგვედგა, იყო ჩვენი ახლობისა
და ახალიდამ მიღებული. დღეს ჩვენ ამ
ახალსაც შევაფურობთ; დღეს ჩვენ, ეს
ახალი სასაცილოთა, სათაკილოთა და
სამასხაროთაც გავხადეთ; დღეს ჩვენ
ვესვრით იმასვე ტალახს, რამაც ჩვენ
თვითონ გავგზარდა, რის ლტოლვასა
და მიყოლაშიც ჩვენ შევიძინეთ სახე-
ლი და გავხდით საქებურნი წინაშენ
აზრთანის ხალხისა და დაჩაგრულთა.
ახლა ეს ყველა დავივიწყეთ და ვეს-
ვრით ყველა ამას ტალახს, და ამის
წარმომადგენელთ ვეძახით „ვირებს“.

საბუთი ამ ლაპარაკისა მაქვს ბევრი,
თუმცა ამ ზემოთ ნათქვამებში იქნება
შენ, მეგობარო ჩემო, ყველაში წილი
არ გეღოს. მაგრამ მიხედვით, რომ, თუ
შენზედ ვიწყებ ლაპარაკს, იმიტომ, რომ
შენ უფრო საიმედოთ მიანდით ბევრსა.
იქნასაც მიხედვით, რამაც ამალბინა კა-
ლამი ამ წიგნის დასაწერათ. მიხეზი
არის შენი ლექსი „შ...ს“ დაბეჭდილი
„ივერის“ მეშვიდე და მეჩრეე ნომრებ-
ში, რომელიც უფრო გარკვევით ჰსა-
ხავს იმ ხასიათს, რომელიც მიიღო უფ-
რო-და-უფრო თქვენმა კალამმა, ესე იგი,
იმის მაგიერათ რომ თქვენს მახვილს
ენას, — თუმცა ამ ლექსში სიმახვილე
არაფერია, — ჰხმარობდეთ საზოგადო-
კულდს მოვლინებებზედ, საზოგადო სენ-
ზედ, თქვენ სწეწთ და სჯიჯგნით ბრა-
ლიან-უბრალოთ ყველას, ვინც თქვენ
პირათ არ გიაგებათ.

მკითხავთ ახლა: რა საბუთის ძალით
ჰხმარობთ თქვენს ოხუნჯობას „შ...ს“ზედ?
როდის, ვინ და სად დაუბეჭდია იმას,
რომ ის თავის კალმით, თავის მოქმე-
დებით აძლევს ზიანს რამე კეთილ საქ-
მეს, რამე კაცთა მოსახმარს და გამო-
საყენებელს გარემოებათა? მკითხავთ:
ან თქვენ თითონ ერთი მარცვლიც
არის, მდოგვის მარცვლის ოდენათაც
არის, გვიჩვენე ჩვენ მკითხველებს „შ...ს“
ნაკლებულება, და ურიგობა და თვით
შეცდომილებაც არის? არა! მაშასადამე,
რის ძალით, რომლის სიმართლით შე-
ურაცხყოფთ კაცსა, რომლისაც პა-
ტივისკემ აქვს მრავალს თქვენს მკით-
ხველთაგანს? ნუ თუ იმითი იმცრობა
„შ...ს“ და არა თვითონ თქვენი კა-
ლამი?

ძიდევ სხვა ვთქვით.
მინც იცნობს ამ თქვენგნით გაკიც-

ხელს პირს, ყველა გეტყვით, რომ ამ
კაცს როგორც ლიტერატურულს ასა-
რეზზედ, ვგრეთვე კერძო ცხოვრებაში
ვერავინ უპოვის იმისთანა საქმეს, რომ-
ლითაც გამართლდებოდეს თქვენი გცე-
ვა იმასთან. რაც შეეხება ნაჭყერებას, ამას
გეტყვით, რომ ასე შემზადებული კალ-
მით, გამოარკვეული აზრებით და აწონ-
ვილი მიზანით ჯერ ჩვენში თითქმის
არავინ გამოსულა ლიტერატორის ას-
პარეზზედ მას აქეთ, რაც ჩვენი ქურ-
ნალ-გაზეთობა დამყარდა. შეველამ ჩვენ-
განმა დავიწყეთ წერა თითქმის აქი-ბა-
ჭადამა, და თუ ბოლოს და ბოლოს
წაიკითხებოდა რამ ჩვენი, იმიტომ რომ
ათისა და ოცის წლის განმავა-
ლობაში ვარჯიში მუნჯსაც ასწავლის
მესტირობასა და დამბლას ჯამბაზობა-
სა. იქ სადაც დიდი ხნის გამოცდილი
მწერალნი და საზოგადო ასპარეზზედ
გამოსული პირნი ვერც კი ახერხებდნენ
რიგიანს პასუხს თავის ცილის მწამბ-
ლებთან და მამბებლარებთან, აქ ეს ახ-
ლად გამოსული ასპარეზზედ ახალ-გაზ-
თა პირი იღვწიდა ამ გამოცდილების
სიმართლის დასაცველათ, დასაცველად
საზოგადო სიმართლისა, და იღვწიდა
ხელოვნურათ, საბუთიანთ და ნიჭიერათ
ისე რომ იმათ მაგიერათ ამან ამოს-
ლო იმათ მოპყერყენეს ლაგამი.

იქნება თქვენ, როგორც სხვა მრავა-
ლი მახოხისა და დომხალის შემწე-
ბლები, აღიჭურვეთ უფრო მიტომ, რომ
ამ ყმაწვილმა გაჰხედა შეხება იმ ბედა-
ურის, რომელიც თქვენ თავისის ნიჭით
მხარში გიდგიათ, ან იმ ქურნალის შე-
ხებით, რომელშიაც დღეს თქვენ იღვწით?
თუ ეს ასეა, მაშინაც ჯერ ან თქვენ,
ან სხვას ვისმე მაინც უნდა დაგემტკი-
ცებინათ, რომ ეს ყმაწვილი მოიქცა
ამითი ურიგოთ, ან შემცდარი მაინც
იყო თავის სიტყვებსა და აზრებში, და
მაშინ, — თუმცა არც მაშინ იყო დიდი
საქებური საქმე, — აღგეტყურათ მაგგვარათ
თქვენი სიმახვილე. მაგრამ ამას, არამც
თუ არავინ დაურღვია აზრები, პირიქით,
ვისაც ის შეეხებოდა, ისე გადაყლაპეს,
როგორც საბრისი და მისხდნენ კუთ-
ხეში. ან კი, ვთქვით ჩვენში, ნუთუ მან-
ნაოვი და თუნდა თვით ზავჭავაძეც ისე-
თი შეუცოდველნი არიან, რომ იმათ-
ზედ ხმა აღარავის ამოვლდებოდეს? მან-
ნოვის იმედი ხომ არცავისა ჰქონია,
გარდა თვით ზავჭავაძისა და არც არავისა
აქვს; და ზავჭავაძემაც, ნიკოლაძისა
არ იყვეს, დიდი ხანია დაწინაურებულს
ახალგაზდობაში დაჰკარგა ის ძალა და
განვლენა, რომელიც ჰქონდა წინათა.
აბა ჩააცქერდით თუნდა იმათს მოღვა-
წებას „ივერიაში“, როგორც ამ ქურნა-
ლის მართველებისას. ნუთუ ეს არის ის
ქურნალი, რომელიც უჭირს ჩვენს
ხალხს? ნუთუ ეს ქურნალიც მცირეც
მაინც არის აკმაყოფილებს იმ წყურ-
ვილს, რომელიც არის აღძრული ჩვენს
საზოგადო მოაზრე ხალხში და ახალ-
გაზდობაში? აბა გასინჯეთ: განა ეს
არის ქურნალი და არა სამარხი ქურ-
კელი ძველთა ჰკუის მცვედანობისა?

ნუ თუ ლაქლანდარული შეირბი ისტო-
რიული ზღაპრები არის, რის ხეობის
საჭარო და არა ისა, რაც უნდა იქნებოდეს
ნურბელთ ხალხთ აღძრავს და მიჰკავს
წარმატებასა და განვითარებაში? ნუ თუ
ჩვენ გვიჭარს „შარამანიანები“ „სარინო-
ზიანები“ და სხვა ამგვარი ზღაპრები და
არა რამ ცოცხალი და მოძრაობაში
ჰკუისა და ცხოვრების მომყვანი? — არა
მგონი მიპასუხოთ, რომ ამაში „ივერია“
და მის მმართველნი იყენენ ღირსნი,
რომ იმათ გცევას არა ხელის — შეიძარ-
თვას არ ეკადრებოდეს!

მაშასადამე, არც იმ მხრივ უნდა აღ-
ძრულიყო თქვენი კალამი.

მაშ რამ აღძრა?
ჩვეულებამ.

იქამდის დავეჩვიეთ ტალახის სროლას
რომ სხვა აღარა გვეხერხება-რა და არა
გამოგვდის-რა ხელიდამა.

ამაზედ გვმართებს დაფიქრება. თუ
არ დაუფიქრებდით, მაშინ, თუმცა ჰრე-
ლაშვილი ჰეიცივა დაეცოცხლო, მაგ-
რამ მკვდართა თანა შერიცხულ ვიქნე-
ბით.

ანტონ შუტელადი.

„დროების“ კორამსკონდენსია

სახხმრმ, 24 სექტემბერს. შამოდგომაა.
მინდვრები გატიტვლენ; ხეებზე ფოთ-
ლებმა ფერი იცვალეს, ვენახებში ფოთ-
ლები შეთხელდნენ და გამოჩნდნენ შა-
ვი მაყვალავით და ყვითელი ქარვასავით
დაკიდებული ყურძნის მტევნები, რომ-
ლებიც ამით ატყობინებენ პატრონს:
„თუ არ მომხარეთ, შემდეგში მოჰაკლ-
დება, თორემ აღარა მომემატებო.“
მერცხლები გაგვიფრინდნენ.

მშემაც გაიწია ჩვენგან და მისმა სხი-
ვებმა მოგვაკლო ნელ-ნელა სიბოლ.
მრთის სიტყვით, ყველაფერი გვეუბნება,
ზამთრისათვის მოეწადეთო.

და კიდევაც ეტყობა ხალხსაც, რომ
ემზადებიან. პური, სიმინდი და სხვა ხომ
მოიწიეს, ახლა დადგა საქმე ყურძენზე,
რომელიც პირველ სიმდიდრეს შეადგენს
ყველა აქაური მცხოვრებლებისათვის,
მაგრამ რას უხედავთ! ზოგან სეტყვამ
გააფუჭა და სადაც არა, იქ გლეხების
მაგიერ ვენახებში ჩამდგარან ურიები,
სომხები დაიყოფენ მოსავალს ბლენებს?
ტყემალი და ბოლოკი.

მა უჩვეულებრივო აღარავისთვის გახ-
ლავს, რომ ღარიბის ნაშრომ-ნათესს
სხვანი მკიან; მაგრამ დრო არ არის ჯერ
ამის წინააღმდეგ საშუალების მიღებისა?
ამას წინეთ ვნახე აქ ერთი ახალგაზდა,
როგორც ეტყობა, კაცთ-მოყვარე თაყა-
დი, რომელსაც მიელო მხედველობაში
ამისთანა მდგომარეობა გლეხებისა, და
სცილობდა როგორმე მოეხერხებინა,
გემართა „შემნახველ-გამსესხებელი ამ-
ხანაგობა;“ მაგრამ იმასაც მგონი გული
მოუტუღდა, რადგანაც ბევრმა განვლენ-
ნიანმა პირმა შემწეობის ნაცვლად დაბ-
რკოლებაც აღმოუჩინა. თუმცა ჩვენ



ნამდვილათ ვიცი, რომ აქ დაბრკოლებას გარდა, შემწვობას ამისთანა საქმეში არაფერს აღმოუჩინებს, მაგრამ იმედი გვაქვს, ის თავის ღონისძიებას არ დაიშურებს ამისთანა კეთილი საქმისათვის.

საჩხერეში ახლა ისეთი სიმშვიდე — მყუდროება არის, რომ კაცი იფიქრებს აქ ყველას უნდა ეძინოსო. აქ ვერაფერს გონებთ ახლა ვერც ახალ ანბანს, ვერც ახალ შემთხვევას, ვერ დაინახეთ ორ კაცს ერთმანეთთან რამე რიგიან საგანზედ მოლაპარაკეს და სხე.

აქაური საზოგადოების გონების ვარჯიშობისათვის, ჩემის აზრით, დიდ სარგებლობას შეადგენენ მცხოვრებნი ს. ჯ. აბო, რომლებიც დრო-გამოშვებით მოახდენენ ხან კაცის კვლას, ხან ცეცხლ წაუკიდებენ სახლებს, ხან მტაცებლობენ და სხვა. სარგებლობა ამათ მით მოაქვთ, რომ მხოლოდ ამისთანა შემთხვევა გამოიხმობს ხოლმე ჩვენში სჯას და დაძინებულ გონებას აღვიძებს...

იტყვიან: „შერი ფერსა და მადლი ღმერთსაო,“ როგორც ხალხია, ისეთავეა აქაური ჩინოვნიკობაც: მათ შორის არაფერითაა განსხვავება არა მოიპოვებრა.

როგორც სხვებს, ჩვენცა გვაყავს: მომრიგებელი მსაჯული თვისის ჩინოვნიკობით გამომძივებული და სხვანი... მანია აქაური საზოგადოებას თვალში რომ ჩაუფარდეს, ხელსაც არ ამოსობენ. მართალიც უნდა ვსთქვა, ან კი რათი არიან შესაძლებლებანი; როდესაც პირველი თავის საქმეს ასრულებს და სხვისაში არ ერევა და დანარჩენი, თუმცა ბევრს არაფერს აკეთებენ, არაფერს ახდენენ მანცა და კიდევაც რომ წაახდინონ, ის ხომ ამისთანა პირებს არ შეეხება, რომელზედაც ჩვენ ვამბობთ..

აქედან არაფერს არაფითარ გაზეთ-ჟურნალს არ იწერს, გარდა ორი თუ სამი ჩინოვნიკისა, რომლებსაც აქეთ თითო გაზეთი გამოწერილი და იქასაც მგონი მათში ნახევარი თითონაც არ

კითხულობს, არათუ სხვამ ისარგებლოს მათგან. ბანა არ შეუძლიანთ აქაურებს წიგნები და ჟურნალ-გაზეთები გამოიწერონ?

ამ კითხვაზე ერთხელ ერთმა ხუძარამ მომიგო: „მე სარკეში ჩახედვა ქამივით მძულს, რადგანაც ის ჩემ საძაგულ სახეს მიჩვენებს მაშინვე!“

ასე, აქ ახლა ჟურში ვერც კარგსა და ვერც ცუდს ვერას გაიგონებთ და თვალთ კა, რომ გამობრძანდეთ გარეთ დაინახეთ ორ ეტაჟიან მშვენიერ არქიტექტურის სახლებს, რომელნიც ამაჟურათ ძორათულნი მამოგზირებიან და ამშვენიებენ ადგილის მღებარეობას.

თუ გაისივრებით ბაზარში, ბევრი გამოცდილება და თვალის სისწრაფე უნდა გქონდეს, რომ ან ტალახში არ ჩაგარდეთ, ან მალლა სახლიდან წარეცხი წყალი კისერში არ ჩაგასხან და ან მოურავმა, ან ადვოკატმა ცხენი არ შეგახალოს. თუ მარჯვით არ იქენით, ერთი ამათგანი მაინც აუცილებელია და მერე წაბრძანდით, ეძიეთ პოლიცია და მალეც მიავიხებთ...

ჭურის იქით-აქეთ პირზე უსწორ-მასწორით და ბინძურათ გამწკრივებულან როდენიმე სამიკიტნოები ერთად საყსა-პოვებითურთ, დუქნები საწვრიძალოსი და უშეტესი ნაწილი ფართლისა, რომ ლებშიდაც იმედ დაკარგული, რომ მუშტარი აღარ მისელია, ვაჭარი, ჩამომჯდარი ყაფაზზე გემრიელათ ამთქნარება და ზედ პირჯვარსაც იწერს, რომ იმ დიდ გაღებულ პირში, რომელშიდაც ბუზები ჩაველა-ამოსვლას არა ჰკითხავენ, უცებ ეშმაკიც არ ჩაუხტეს. მუჩაზე დაინახავთ როდენსამე ხის სვეტს, რომელნიც არხელოვანი გამოკვლევით გვიმტკიცებენ, რომ „მას ქამსა შინა“ მათზე ყოფილა ფარნები ქურის გასანათებლათ..

ღალბდება თუ არა, სანთლის შუქს ძვირათ დაინახეთ, ყველანი ძილს მიეს-

წრავებიან და თუ საძმე მსუქანადს შუქი სანთლისა, ის განსჯის მწიქანებლის სტალია, რომელზედაც იქნებიან ვარშამო მამომსხდარნი მოთამაშენი და რომელიც შეადგენს საჩხერის ბანკს, სადაც დაუზოგაეთ შეაქვსთ და ძვირათ, ძალიან ძვირათ გამოაქვსთ..

შველა ამისთანა ბედნიერებასთან აქ გვაქვს ერთის მაგიერ ორი სასწავლებელიცა, რომელნიც, ჩვენდა სამწუხაროთ, ერთმანეთზე რომ გადააკეროთ ერთ ხერიანს კიდევ ვერ შეადგენენ.

სხვასაც რომ თავი მივანებოთ, მარტო შესაბრალოსი მდგომარეობა ამ სასწავლებლებისა, ვგრეთვე დაწყებული ეპკოლესიაც, რომლის ნახევარი კედელი მშვენიერის თლილის ქვით და კარგის არქიტექტურით არის აშენებული მოხდენილს ადგილზედ და თავ-მინებებული, ცხადთ გამოგვიხატვენ ადგილობრივ საზოგადოების ენერჯიასა და თავის თავზედ ზრუნვას..

საჩხერელი.

განცხადება

ბამოვიდა და ისყიდება ჩაჩკვიანის წიგნის მღზიანში ბროშურა

„ჩვენი დემ-ბამირაბი“

(მართველი მწერლების სურათები)

სტეფანე ჰრელაშვილისა

შასი ერთი აბაზი

(4-2)

რძ. ზნა.	დღია.	საღამ.	II კ.	III კ.	ბელგრაფი	მან კაპ.	მაზანდა	მან კაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი	9 21	5 18	8 კაპ.	8 კაპ.	მ.ცი სიტყვა თფილისიდან.		თფილისი 4 ოქტომბ.		მრეფ. მ.იღ., წინამძღვაროვ. სახლი.
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ქავასიის აქეთა მხრის ყველა		ფ.გ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2 60	ღლე დილის 8 საათიდან 10-დინ.
ზორი	11 58	9 43	3	1 53	ქალაქებში	50	ფ.გ. წითელი	2 20	მ.რ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი და
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	როსტოვს, მდესას, მოსკოვს,	2	მერ. ფუთი	1 40	ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.
სურამი	1 44		4 90	2 61	პეტერბურღს, მარშავს.	2	ბაბა მრეფისა, ფუთი.	8 80	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი შინაგ.
შერილა	5 49		7 21	3 69	მსმალეთში, შვეიცარიაში.	3	— პერეკისა, ფ. თს.	9 40	ავათმყოფ.; რეიზი—თვალის, შურავ-
რონი	6 57		8 44	4 31	იტალიაში და საფრანგეთში.	3 50	ბაქტალი ბაბა ფუთი.	11 70	ღვეი—ვენერიულის, და კანისა; ბა-
სამტრედია	7 51		9 66	4 93	ინგლისში.	3 75	მატული თუ შური ფუთი.	8	ბოვი—გულისა და შინაგ.
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47	ფონტა		— თ რ ა ქ ა მ ი ს ა ფუთი	3 60	მ თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცევი—ში-
შოთი	9 50		11 24	6 26	ა) თფილისიდან: სამზღვარ გა-		აბრეშუმ ნუხური სტ.	2 10	ნაგ, ასტუ-ცატუროვი—ქალისა და
					რეთ, შუთაისს, რუსეთს—ყოველ		შონი ფუთი	5 80	ბავშვების ავათმყოფ.
					დღე კვირს გარდა. ზუგდ. ორშ. და		შონის სანთელი ფუთი.	7 60	ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი—ში-
					ხუთშ. მ.ზურ.—პარასკ. და ორშ. ქა-		სტეფარონის სანთელი ფ.	11 65	ნაგ. ავათმყოფ. და შურავლევი—კანის
					ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) შუთაი-		ხორცი ძოროხისა. დიტრა		და ვენერიულის.
					ლიდან: თფილისისა და შოთისაკენ—		— ცხვრისა, ლიტრა		პ ა რ ა რ ა ს კ ე ვ ს ი ქ ნ ბ ი ა ნ : ლისი-
					ყოველ დღე კვირას გარდა. მ.ზურ-		სპირტი ვედრო	4 50	ცივი, შინაგ.; ასტუ-ცატუროვი—ვე-
					გეთს—ორშ. და პარასკ.		შაქარი ბროც. ფუთ	7 25	ნერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და
					წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ	— ფხვნილი ფუთი	5 70	შინაგ. ავათმყოფ.
					და სამზღვარ გარეთ:		შავა რგვალი გრე.	65	შ ა ბ ა თ ს: მერმიშევი, შინაგ.; შურ-
					ლა წიგნის	3	წეთი ქუნჯუთისა ფუთი.	14 50	ავლევი.—ვენერ. და კანის რეიზი—
					დაპეტლილის (სამი მისხალი).	7	თინაბ.კო საშუალო ფთ.	6 70	თვალის.